DOI: 10.51364/26679604.jcpr.2021.v02i02.014

თამაზ გოგოლაძე

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრი,
საქართველო
tazogogoladze@yahoo.com

X-XI საუკუნეების დღემდე უცნობი ქვაჯვარას წარწერა კალონაპეტრისძისა და მიქაელ მჭედლის მოხსენიებით ქალაქ ყარსიდან (ისტორიული კარიდან)

ამა წლის 4 იანვარს, სოციალურ ქსელში პედაგოგმა - ნათია ჯიმშელეიშვილმა გამოაქვეყნა მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია ქალაქ ყარსში ახლად გამოვლენილი ქვაჯვარასა და მასზედ ამოღარული წარწერის შესახებ, რომელსაც დაურთო წარწერის ფერადი ფოტო. მისივე ინფორმაციით, ახალი წლის დღეებში, მისმა მეგობარმა, ფოტო ქალაქ ყარსიდან გამოუგზავნა და თან მოწერა, რომ აღნიშნული ქვაჯვარა სახლის მშენებლობის დროს საძირკვლის გათხრის დროს უპოვიათ. მისივე ვარაუდით, ქვაჯვარაზე ამოღარულია ასომთავრული წარწერა, რომელიც დაზიანებულია და მისი ტექსტის სრულყოფილად წაკითხვა ყოვლად შეუძლებელია. მას მოჰყავს სპეციალისტის დახმარებით წარწერის წინასწარი წაკითხვა:

“წმიდაო გიორგი შეიწყალე მიქაელ მჭედელი”.

აღნიშნული წარწერის შესახებ ინფორმაცია ჩემმა თანამშრომელმა, ისტორიკოსმა - ნიკოლოზ ჟღენტმა მომაწოდა, რისთვისაც მას გულითად მადლობას ვუხდით.

წარწერის ფერადი ფოტოს მიხედვით ჩვენთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ საქმე გვქონდა მნიშვნელოვან აღმოჩენასთან. უფრო კონკრეტულად, წარწერის ბოლოს მართლაც მიქაელ მჭედლის სავედრებელი წარწერაა, თუმცა მანამდე იხსენიება კიდევ ერთი ისტორიული პერსონაჟი, რომლის სახელიც წარწერის მარ-

ჯვენა მხარის დაზიანების გამო აღარ იკითხება, ხოლო რაც შეეხება გვარს, ფრაგმენტულად განირჩევა.

წარმოვადგენთ წარწერის ფერად ფოტოს, წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ჩვენეულ წაკითხვას.

წარწერა შესრულებულია ქვაჯვარაზე, კერძოდ, ჯვრის ორივე მხარესა და შუა ნაწილში; ასომთავრული; 5 სტრიქონი; ქარაგმის ნიშანი: მოკლე განივი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: არ ახლავს.

1. †Ⴒ˜Ⴑ Ⴒ˜Ⴗ Ⴓ˜Ⴗ... …
2. ⴚⴓ˜ⴒⴓ --
3. ⴥ˜Ⴗ ⴓⴓ
4. ⴓ†˜ⴓⴗ
5. ⴓⴓ˜ⴓⴓⴗ

“†. წ(მიდა)ო გ(იორგ)ი, შ(ეიწყალ)ე, ... / კ(ა)ლ(ო)ნ(ა)პ(ე)ტ(ის)/მე და / მ(ი)ქ(ა)ელ<ე> / მჭ(ე)დ(ე)ლი”.

როგორც ჩვენეული წაკითხვა აჩვენებს, წმიდა გიორგისაგან შეწყალებასა და მეოხებას ვინმე კალონაპეტისძე და მიქაელ მჭედელი ითხოვენ. წარწერა, მისი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, X-XI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის მეტად ნაცნობი ანთროპონიმია გვარი კალონაპეტისძე// კალონაპეტრისძე. აღნიშნული გვარის გავრცელების არეალს დღევანდლამდე წარმოადგენდა საქართველოში ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია, ხოლო საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩრდილოეთ სომხეთში მდებარე ჰნევანქის ეკლესია და მასში დაცული წარწერები.

გვარ კალონაპეტისძეს დმანისის სიონის კარიბჭის სააღმშენებლო წარწერაში ვხვდებით, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთგზის გამოიცა და რომლის ტექსტიც შემდგომი სახით იკითხება:

“† ს(ა)ხ(ე)ღითა || ღ(მჰთისა)ჲთა და მ(ეო)ხ(ე)ბ(ი)თა || წ(მიდი)სა || ღ(მჰთი)სმშ||[(ო)ბ(ე)ღ(ისაჲ)თა, და(ა)მ]ყ(ა)ჰ(ე)ნ ღ(მეჰთმა)ნ | || მ(ე)ფ(ე)თა მ(ე)ფ(ო)ბ||(ა)ჲ გ(იოჰგ)ისი, ჰ(ომე)ღთა მ(იე)ჰ || ღ(ი)ჰს ვ||იქმ(ე)ნ მე || [მ][(ი)წ(ა)ჲ მ(ა)თი . . . ჭ თ(ე)ვ]||დ(ო)სი მ(ამათ)მ(თავაჰ)ი კ|აღ(ო)ნპ(ე)ტ(ი)სძე აღშ||(ე)ნ(ე)ბ(ა)დ კ(ა)ჰ(ი)სბჭ(ი)სა ამის || ს(ა)დ(ი)დ(ე)ბ(ე)ღ||(ა)დ . . . [მ(ე)]||ფ(ო)ბ(ი)სა მ(ა)თ(ი)სა დ[ა] | მ(ო)ს(ა)§ს(ე)ნ(ე)ბღად ცოდვ||იღისა ს(უ)ღისა ჩ(უე)ნისა, ბიძ(ა)ჲ||სა ჩ(ემ)ისა ა¸ ||ნტ(ო)ნს, მშ(ო)ბ||(ე)[ღ]თა

და . . . || ნთა˙ს ˙ მ(ათ)თათ(ჳ)ს, | ღ(მhთ)ისა ს(ი)ყ(უა)h(უ)ღისათ(ჳ)ს ღ(ო) ც(უა)სა || მოგ(უი)ჴს(ე)ნ(ე)ნით¸... “.[1]

როგორც ვხედავთ, დმანელ მამამთავარს, თევდოს კალონაპეტისძეს მეფეთ მეფის გიორგის ზეობის დროს ერთიანი საქართველოს მეფის მეფობის სადიდებლად და თავისი ბიძის, ანტონის, თავისი მშობლების სულის საოხად დმანისის სიონის კარიბჭე აუშენებია. ქართველ ისტორიკოსთა ნაწილი (ექვთიმე თაყაიშვილი) წარწერაში მოხსენიებულ მეფეთ მეფე გიორგიში ერთიან საქართველოს მეფეს, გიორგი V ბრწყინვალეს გულისხმობდა და, შესაბამისად, წარწერის ქრონოლოგიასაც მისი ზეობის წლებით ათარიღებდა, მეორე ნაწილი (ვახტანგ ჯაფარიძე, ვალერი სილოგავა, გიორგი ოთხმეზური) აქ მოხსენიებულ მეფეთ მეფე გიორგიში, ერთიან საქართველოს მეფე გიორგი IV ლაშას მოიაზრებდნენ და წარწერასაც მისი ზეობის წლებით ათარიღებდნენ - 1214-1222 წწ. (ვახტანგ ჯაფარიძე); 1207-1223 წწ. (ვალერი სილოგავა); 1210-1223 წწ. (გიორგი ოთხმეზური).

გარდა ამისა, ჰნევანქის ეკლესიის მთავარ ეკლესიის დასავლეთ მინაშენში მოგვეპოვება XIII-XIV საუკუნეების მამა კჳირილესა და მამა იოსებ კალონაპეტისძეთა საფლავის ქვის წარწერები.[2]

2018 წელს, სათხის წმიდა კვირიკეს ეკლესიის არქეოლოგიური გათხრების დროს, ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერის იატაკის შუა ნაწილში საფლავის ქვის ეპიტაფია გამოვლინდა, რომელსაც ხელოვნებთმცოდნე გიორგი გაგოშიძე ვინმე კალონაპეტრისძეს საფლავის ქვის წარწერად მიიჩნევს, ხოლო საფლავის ქვის ეპიტაფიის ქრონოლოგიას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, XIII საუკუნით განსაზღვრავს. გარდა ამისა, იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ XIII საუკუნეში სათხის ეკლესია ამ საგვარეულოს (?) კუთვნილებას წარმოადგენდა.[3]

2019 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული კორპუსი” ფარგლებში, ვეწვიეთ სათხის წმიდა კვირიკეს სახელობის ტაძარს მის კედლებსა თუ ინტერიერში არსებული წარწერების შესწავლის მიზნით. აღნიშნული ექსპედიციების დროს, ტაძრის სხვა წარწერებთან ერთად, ჩვენი შესწავლის ობიექტი გახდა 2018 წელს გამოვლენილი ვინმე კალონაპეტრისძის საფლავის ქვის წარწერაც.

გთავაზობთ წარწერის არქეოგრაფიულ აღწერილობას, წარწერის

1 ქვემო ქართლის ეპიგრაფიკული ძეგლები (დმანისი) V-XVIII სს, (თბილისი, 2017), 168.

2 თემო ჯოჯუა, გიორგი გაგოშიძე, „ქობაირის, ჰნევანქისა და ახტალის მონასტრების ქართული ლაპიდარული წარწერები“, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XII-XIII, (თბილისი, 2012/2013), 317-320.

3 გიორგი გაგოშიძე, „სათხის მონასტრის წარწერა“, არქეოსპექტრი Archaospectrum, (თბილისი, 2019), 58.

ფერად ფოტოს, წარწერის პალეოგრაფიულ ასლს, წარწერის გადმონაწერს დედნის შრიფტის დაცვით და მის ჩვენეულ წაკითხვას:

წარწერა ამოკვეთილია მუქ ნაცრისფერ ქვაზე, რომელიც ჩადგმულია სათხის ეკლესიის ჩრდილოეთ ნავში; საფლავის ქვის ზომა: 90 X 77 სმ.; წარწერის ფართობი: 86,5 X 70 სმ.; 6 სტრიქონი; ასომთავრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: Ი (IV სტრიქონის VII გრაფემა) - 17 X 6,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: Ղ (III სტრიქონის V გრაფემა) - 9,5 X 7 სმ.; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ; წარწერას ქარაგმის ნიშნები: არ ახლავს; წარწერისათვის დამახასიათებელია შეწიაღებისა და ლიგატურის შემთხვევები.

დაზიანება: წარწერა დაზიანებულია. თავ-ბოლო ნაკლულია. თუმცა წარწერის გადარჩენილი ნაწილი გარკვევით იკითხება. წარწერის ტექსტი გვაქვს აღდგენილი წარწერის შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით.

წარწერის დათარიღების წინა გამოცემებში:
XIII ს. (გიორგი გაგოშიძე[1]).

წარწერის დათარიღების საფუძველი: ვითვალისწინებთ რა ტაძრის კანკელის თარიღს, ქორონიკონს ტჟა -1171 წელს, წარწერის ქრონოლოგიას XII საუკუნის II ნახევრით განვსაზღვრავთ.

გამოცემები:
გიორგი გაგოშიძე, 2019.[2]

1. :†: ՆՇԷՆՂԳՇ ՐՈ՝--
2. ՂՆՂ ՆՇՓՆԴՂ Հ՞Ղ --
3. Ր՝Ն՝: Ր՞Շ՞Հ՞Ը՞Զ՝[Հ՝ Ր՛Ժ՝Ն՝:
4. ԿՆԶՀՄՂԷՀն:
5. ԺՂՆՇՆ: ՆՂԿՀ
6. ԶՆՆՇԳՆ: ՈՆՇ
7. -Ր՛Գ,ԴՆՇ: ՁԶ,Ձ
8. --,Ն,Ղ,,Հ,,Ղ,

“[†. Սահ{ղ}ՐՈԹԱ Ը{մհտունաձ}թա | ԵՆԵ ՍԱՓՐ{ա}ՎՈ Ի(ԵՄ)Ո [ահ]|Ն ԱՆՓՈՆ, Ժ{ղ}ՁԼ | Կ{ա}ՐՈՆ{ա}ՊԵՓԻ{ո}Ն|ԺՈՆԱՁ. ՍՈԿ{ՎԱ}Հ|ՍՐ{ո}ՆԱԹ{Ն}Ն Ը{մհտո}ՆԱ |

1 գիորգი გაგოშიძე, „სათხის მონასტრის წარწერა“, ..., 58.

2 გიორგი გაგოშიძეს თავის სამეცნიერო პუბლიკაციაში წარმოდგენილი აქვს: ა) წარწერის ადგილმდებარეობა; ბ) წარწერის ფერადი ფოტო; გ) წარწერის ფრაგმენტი; და დ) წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი („სათხის მონასტრის წარწერა“, არქეოსპექტრი Archaospectrum, (თბილისი, 2019), 57-58).

[ღ{ო}]ცვ{ა}სა მომ|ი§სენ{ე}ბ[დ{ე}თ, [ა(მე)ნ]".[1]

როგორც წარწერის ჩვენეული წაკითხვა აჩვენებს, საფლავის ქვის წარწერა ვინმე კალოპატრისძეს კი არა, არამედ ანტონ კალონაპეტრისძეს ეკუთვნის. აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ დმანისის კარიბჭის წარწერაში მოხსენიებული თევდოსი მამამთავრის ბიძა, ანტონ კალონაპეტრისძე, რომელსაც ტაძრის კარიბჭის ქტიტორი თევდოსი თავისი მშობლების წინ მოიხსენიებს, რაც მისი მაღალ სოციალურ სტატუსზე უნდა მიუთითებდეს და რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, სათხის ეკლესიის საფლავის ქვის წარწერის ახლებური წაკითხვას. ვითვალისწინებთ, 2018 წელს სათხის ეკლესიის გათხრების დროს გამოვლენილ კანკელის ბოლო ფრაგმენტს, სადაც მითითებულია თარიღი ქორონიკონი ტჟა, რაც 1171 წელს შეესაბამება და რაც კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რომ ტაძრის ეკლესიის კანკელის წარწერაში მოხსენიებული მეფეთ მეფე გიორგი არის არა ლაშა-გიორგი IV, არამედ ერთიანი საქართველოს მეფე გიორგი III. აქედან გამომდინარე, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ანტონ კალონაპეტრისძის საფლავის ქვის წარწერის ქრონოლოგიაც XIII საუკუნის ნაცვლად, XII საუკუნის II ნახევრით უნდა დათარიღდეს. გიორგი გაგოშიძე კანკელის თარიღის მოყვანის შემდეგ დასძენს, რომ აღნიშნული თარიღი - 1171 წელი "სრულიად ცვლის ამ დრომდე არსებულ ისტორიულ ფაქტებს. ის საბოლოოდ აზუსტებს ქვემო ქართლის ეკლესიებისა თუ კანკელების მთელი ჯგუფის ქრონოლოგიას და გვაუწყებს, რომ ამ ეკლესიათა წარწერებში მოხსენიებული მეფე გიორგი, რომელიც გაიგივებული იყო მეფე გიორგი ლაშასთან, სინამდვილეში მეფე გიორგი III ყოფილა".[2]

სავსებით ვიზიარებთ ბატონ გიორგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და აქედან გამომდინარე, დმანისის სიონის კარიბჭის წარწერის ქრონოლოგიას ქართულ სამეცნიერო წრეებში მიღებული თარიღების - გიორგი ბრწყინვალის ზეობის ხანა; 1214-1222; 1207-1223; 1210-1223 წლების ნაცვლად, ერთიანი საქართველოს მეფის, გიორგი III ზეობის პერიოდით - 1157-1184 წლებით განვსაზღვრავთ.

გარდა დმანისის სიონის კარიბჭის სააღმშენებლო წარწერისა თევდოსი კალონაპეტრისძის სახელი მოიხსენიება იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ XII-XIII საუკუნებით დათარიღებულ შერეულ კრებულის (Jer. Geo. 19) აშიებზე.

გთავაზობთ მინაწერებს არქეოგრაფიული აღწერილობით, შავ-თეთრი ფოტოპირებით,[3] ტექსტებს დედნის შრიფტის დაცვითა და

1 გიორგი გაგოშიძე: „...კ(ა)ლონ(ა)პეტრ(ი)ს ძე ..." გიორგი გაგოშიძე, „სათხის მონასტრის წარწერა", ..., 58.

2 იქვე.

3 შავ-თეთრი ფოტოპირების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელს - ვლადიმერ კეკელიას.

მის ჩვენეულ წაკითხვას:

I მინაწერი შესრულებული ხელნაწერის 159 v-ზე, ნუსხური; 4 სტრიქონი; საზედაო ასო მანი გაფორმებულია და გადმოცემულია ასომთავრული შრიფტით; განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია წერტილი ან სამწერტილი რამოდენიმე სიტყვის შემდეგ.

1. Ꜣაოკსრეკ აᲜა. ᲗᲔᲜᲐ ᲨᲔᲨᲐ
2. ᲙᲔᲜᲝᲞᲔᲢᲠᲘᲡᲫᲔ ᲨᲐᲨᲕᲘ
3. ᲕᲘᲠᲘᲡ ᲔᲨᲘᲡ ᲠᲝᲒᲠᲘᲡᲔᲡ
4. ᲔᲨᲘᲡ:. :. :.

“მოიᲜს{ე}ნე, ო(ფაᲦ)ო, თ(ევ)Ღ(ო)სი მ(ა)მ(ა)ი | კ(ა)Ღ(ონა)პ(ე)ტᲰესძე, მომგე|ბეᲦი ამის წიგნისაᲯ, | ამ(ე)ნ”. (159 v)

II მინაწერი შესრულებული ხელნაწერის 169 v-ზე, ნუსხური; 1 სტრიქონი; საზედაო ასო ონი გაფორმებულია და გადმოცემულია ასომთავრული შრიფტით; განკვეთილობის ნიშნად გამოყენებულია წერტილი ან სამწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ.

ꜢᲟ ᲨᲐᲨᲕᲘᲡ. ᲗᲔᲜ. ᲨᲔᲨ. ᲙᲔᲜᲝᲞᲔᲢᲠᲘᲡᲫᲔ. ᲨᲐᲨᲕᲘᲡᲐᲡᲗᲐ. ᲔᲨᲘᲡ ᲠᲝᲒᲠᲘᲡᲔᲡ:.

“უ(ფაᲦ)Ნ, მოიᲜს{ე}ნე, თ(ევᲦ)სი მ(ა)მ(ა)ი[1] კ(ა)Ღ(ო)ნ(ა)პ(ე)ტᲰესძე, მომგებეᲦი ამის წ(ი)გნისაᲯ”. (169 v)

ხელნაწერის ამ ორი მინაწერის მიხედვით, ინფორმაციული თვალსაზრისით კიდევ უფრო ავსებს თევდოსე კალონაპეტრისძის ბიოგრაფიას. თუ დᲦEემდე მის შესახებ გაგვაჩნდა მხოლოდამხოლოდ ერთი წარწერა დმანისის სიონიდან, ამას დაემატა იერუსალიმური ხელნაწერიც, სადაც ორივე მინაწერში მამადმთავარი თევდოსე კალონაპეტრისძე//კალონაპეტრესძე როგორც აღნიშნული ხელნაწერის მომგებლად ანუ დამკვეთად გვევლინება. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ თევდოსი თავისი დროის ერთ-ერთ განსწავლული და გამორჩეული პიროვნება იყო. ეს ბუნებრივიცაა,

1 აღნიშვნის ღირსია, რომ თევდოსი კალონაპეტრისძე დმანისის სიონის კარიბჭისა და იერუსალიმურ ხელნაწერში როგორც “ᲛᲛᲘ” ფორმით არის მოხსენიებული. არ არის გამორიცხული, რომ დმანისის სიოსნი წარწერაში იხსნეიება არა დმანელი ეპისკოპოსი, არამედ დმანისის სიონის ტაძრის წინამძღვარი მამა თევდოსი კალონაპეტრისძე და არა მამადმთავარი თეEვდოსი კალონაპეტრისძე, რასაც მოწმობს ამავე გვარის წარმომადგენლების მამების იოსებ და კᲥრილს ჰნევანქის ტაძრის XIII-XIV საუკუნეების საფლავის ქვის წარწერები, სადაც კვირიკე და იოსებ კალონაპეტრისძეები მხოლოდამხოლოდ მამაᲯს ფორმით არიან მოხსენიებულნი.

რადგან ის ფლობდა დმანისის სიონის წინამძღვრის საპატიო სახელოს. ის, რომ მაღალი სასულიერო პირი იყო, ამას ზემოთმოყვანილი ხელნაწერის მინაწერებიც ადასტურებს, რადგან ამხელა ზომის ხელნაწერის დაკვეთა უბრალო პირს არ შეეძლო. ეს როგორც მოგეხსენებათ, შუა საუკუნეების საქართველოში მაღალი საერო და სასულიერო პირების პრეროგატივას წარმოადგენდა. ამ ხელნაწერის მინაწერების საშუალებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დმანისის სიონის წინამძღვრის თევდოსი კალონაპეტრისძე კულტურულ-საღმშენებლო საქმიანობის პარალელურად აქტიურად ზრუნავდა ქართული ხელნაწერი წიგნის შექმნაზე. საფიქრებელია, რომ სწორედ მისი დაკვეთით შეიქმნა ეს შერეული კრებული და გაგზავნილ იქნა იერუსალიმის რომელიმე ქართულ სავანეში. თუმცა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია ამის დაბეჯითებით თქმა. როგორც ცნობილია, მთელი რიგი ქართული ხელნაწერები შეიქმნა საქართველოში არსებულ სასულიერო კერებში და შემდგომ მოხვდა ისინი სხვადასხვა მიზეზის გამო წმინდა მიწაზე.

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის შესახებ ყურადღება მიიქცია იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული ხელნაწერების ნიკო მარისეულმა აღწერილობამ, სადაც ხელნაწერი გატანილია 28 ნომრით. ნიკო მარს მოცემული აქვს ხელნაწერის მოკლე არქეოგრაფიული აღწერილობა, მისი შინაარსი და სულ ბოლოს გვაწვდის ცნობას ხელნაწერის დამკვეთის შესახებ. მეცნიერს ხელნაწერი დათარიღებული არ აქვს. [1]

ამის შემდეგ ხელნაწერი ნიკო მარის მოწაფემ, ამერიკელმა ორიენტალისტმა და ქართველოლოგმა - რობერტ ბლეიკმა აღწერა.

მეცნიერს არწერილობაში მოტანილი აქვს წარწერის ნომერი (19), ხელნაწერის დათარიღება, ხელნაწერის ვრცელი არქეოგრაფიული აღწერილობა და ხელნაწერის შინაარსი. რობერტ ბლეიკის თანახმად, ხელნაწერი დათარიღებულია ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოთი - XII-XIII საუკუნეებით.[2]

რობერტ ბლეიკის შემდგომ ხელნაწერი შესულია თავისი აღწერილობით 2018 წელს გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომში "ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ", სადაც გაზიარებულია ხელნაწერი წიგნის რობერტ ბლეიკისეული დათარიღება - XII-XIII საუკუნეები.[3]

თუ გავითვალისწინებთ დმანისის სიონის კარიბჭის სააღმშენებლო წარწერის ქრონოლოგიას -1157-1184 წლებს, ძნელია გამო-

1 Niko Mari, A Description of the Georgian Manuscripts of Jerusalem, (Tbilisi, 1955), 65-66.

2 Blacke R., Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothêque patriarcale gresque à Jérusalem, par R. P Blacke; Revue de l' Orient Chrétien, III (XXIII), 1922-1923; 3-4, pp. 51.

3 ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ, შეადგინეს მაია კარანაძემ, ვლადიმერ კეკელიამ, ლელა შათირიშვილმა და ნესტან ჩხიკვაძემ, ნესტან ჩხიკვაძის რედაქციით, (თბილისი, 2018), 128.

საცნობი არ უნდა იყოს თუ როდის შეიქმნა Jer. Geo.19 ხელნაწერი. მისი შექმნის დროდ ჩვენი წინამორბედი მეცნიერების (რობერტ ბლეიკის, ავტორთა ჯგუფის) მიერ შემოთავაზებული ზოგადი ქრონოლოგიური მონაკვეთის - XII-XIII საუკუნეების ნაცვლად, XII საუკუნის II ნახევრით განვსაზღვრავთ. სწორედ XII საუკუნის II ნახევარში შეიქმნა ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის დმანისის მონასტრის წინამძღვრის - თევდოსო კალონაპეტრისძის ინიციატივით, რაც კიდევ ერთი უცნობი ფურცელია ერთიანი საქართველოს მეფის - გიორგი III-ის დროს მოღვაწე დმანელი ეპისკოპოსის - თევდოსი კალონაპეტრისძის შესახებ.

ხელნაწერის მინაწერები მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან ამ მეტად მნიშვნელოვანი ფეოდალური სახლის ანთროპონიმის შესახებ. თუ აქამდე ეს გვარი ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში გვხვდებოდა როგორც "კალონაპეს ძისაj; კალონაპეტისძისაი//კალონაპეტისძისაჲ; კალონაპეტრისძისაჲ" ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის ორივე მინაწერში ხელნაწერი წიგნის დამკვეთი - მამა თევდოსი კალონაპეტრესძედ მოიხსენიება.

01. X-XI საუკუნეების ქვაჯვარას წარწერა კალონაპეტრისძისა და მჭედელ მიქელეს მოხსენიებით

02. X-XI საუკუნეების სათხის წმიდა ჯვრიკვეს ეკლესია

03. XII საუკუნის II ნახევრის ანტონ კალონაპეტრისძის საფლავის ქვის წარწერა



04. XII საუკუნის II ნახევრის ანტონ კალონაპეტრისძის საფლავის ქვის წარწერა (წარწერის პალეოგრაფიული პირი)



05. მამა თევდოსი კალონაპეტრისძის მინაწერი იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული XII საუკუნის II ნახევრის შერეული კრებულიდან 159r



06. მამა თევდოსი კალონაპეტრისძის მინაწერი იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცული XII საუკუნის II ნახევრის შერეული კრებულიდან, 169v